Ш Е Т А Н Х М Е Б А

ქ. თბილისი 26 დეკემბერი, 2017 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავა სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯემაი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან დონაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ჯემაი“-ს შორის 2017 წლის 20 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N08.08.01/10/606 ხელშეკრულების *(ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისათვის, 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ალტერნატიული მუსიკის/დიჯეების კონცერტების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა)* მე-11 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დამდები მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1.1 შეტანილ იქნას ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ახალ აღმაშენებელზე, ქუჩის ორ ადგილას, „new comers“ - დამწყები არტისტების ალტერნატიული მუსიკის კონცერტის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა. მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1) და გასაწევი მომსახურების აღწერილობა (დანართი #2) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.“.

საფუძველი: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2017 წლის 25 დეკემბრის N19-01173592520 წერილი.*

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2017 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N08.08.01/10/606 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მიმწოდებელი:</u>
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „ჯემაი“
ს/კოდი: 204521794	ს/კოდი: 405207093
საქალაქო სამსახურის უფროსი	დირექტორი
ი. გვილავა	ქ. დონაძე